

## ხშირად დასმული კითხვები

1. **კითხვა:** რას წარმოადგენს „ტექნოლოგიის გადაცემის“ ტრენინგი, რა თანხა უნდა გამოიყოს მისთვის და ბიუჯეტის ფაილში სად უნდა აისახოს?

**პასუხი:** ტექნოლოგიის გადაცემის ტრენინგს ატარებს უკრაინული მხარე. არსად დოკუმენტებში არ არის მითითებული ამ ღონისძიებისათვის აუცილებელი სავალდებულო თანხის ოდენობა. მტცუ-ს წარმომადგენელისგან მოწოდებული სიტყვიერი ინფორმაციით, ეს თანხა შეადგენს 1000 აშშ დოლარს

2. **კითხვა:** არის თუ არა შესაძლებელი, რომ ფონდში იყოს წარმოდგენილი საერთო ცნობა ორგანიზაციის დავალიანების არქონის შესახებ და ყველა აპლიკანტმა ცალ-ცალკე არ წარმოადგინოს აღნიშნული ცნობა ფონდში ხელშეკრულების გაფორმების დროს?

**პასუხი:** უმჯობესი იქნება, რომ ფონდში წარმოდგენილი იყოს საერთო ცნობა ორგანიზაციის დავალიანების არქონის შესახებ.

3. **კითხვა:** არის თუ არა შესაძლებელი, რომ ორ წლიანი პროექტის ბიუჯეტი ისე დაიგეგმოს, რომ I წლის განმავლობაში დაფინანსება იყოს როგორც ფონდიდან ასევე მტცუ- დან, ხოლო II წელს- მხოლოდ მტცუ-დან?

**პასუხი:** შესაძლებელია, თუმცა ამ შემთხვევაში პროექტის აქტივობები 2 წელზე უნდა იყოს გაწერილი

4. **კითხვა:** მტცუ- დან გადმორიცხული თანხა რომელ ანგარიშზე ჩაირიცხება და რა ვალუტაში?

**პასუხი:** გამარჯვებულ კონკურსანტებს მტცუ-სთან გაუფორმდებათ ხელშეკრულება, სადაც გაწერილი იქნება ეს დეტალები

5. **კითხვა:** შესაძლებელია თუ არა, რომ კოლაბორატორის საიდენტიფიკაციო ნომერი ID და დაბადების თარიღი არ იყოს მითითებული მის ბიოგრაფიულ მონაცემებში (CV) ?

**პასუხი:** თუ CV- ში რომელიმე ველი შეუვსებელი იქნება, ამის გამო პროექტი კონკურსიდან არ მოიხსნება, მეორეს მხრივ, CV წარმოადგენს ექსპერტების შეფასების საგანს.

6. **კითხვა:** თუ პროექტის შესაბამისი ქვემიმართულება არ არის კლასიფიკატორში, რანაირად უნდა მოიქცეს აპლიკანტი?

**პასუხი:** უნდა მიუთითოთ „სხვა“ ქვემიმართულება (1.7 ან 2.11 ან 3.5 ან 4.5 ) და ჩაწეროს ადეკვატური ქვემიმართულება. მთავარია, რომ პროექტი უნდა იყოს პრიორიტეტული მიმართულებიდან, რომელიც განსაზღვრულია კონკურსის პირობებში (დანართი 1) მუხლი 1, პუნქტი 1.

7. **კითხვა:** პროექტის გეგმა-გრაფიკის შედგენისას საჭიროა თუ არა „პერიოდებში“ თარიღების მითითება?

**პასუხი:** არ შეიძლება თარიღების მითითება. საჭიროა, რომ მიუთითოთ ამოცანების და აქტივობების განხორციელების პერიოდები, შესაბამისი უჯრების გაფერადებით.

8. **კითხვა:** პროექტის გეგმა-გრაფიკის შედგენისას, „აქტივობის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება (პროგრამული კუთხით)“ -ის ჩამონათვალი (სტატია, მონოგრაფია, საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა, პატენტი ან სხვა პროდუქტი) შეიძლება თუ არა მივანიჭოთ „აქტივობის“ ნაცვლად „ამოცანას“?

**პასუხი:** შეგიძლიათ, ფაილი გაძლევთ ამის საშუალებას.

9. **კითხვა:** შეიძლება თუ არა ტრანშების ოდენობა ერთმანეთისგან განსხვავებული იყოს?

**პასუხი:** შეიძლება

10. **კითხვა:** კოლაბორატორის დაფინანსება უნდა იქნეს გათვალისწინებული თუ არა?

**პასუხი:** კოლაბორატორის დაფინანსება აუცილებელი და სავალდებულო არ არის

11. **კითხვა:** შეიძლება თუ არა კოლაბორატორი იყოს ქართველი? დადებითი პასუხის შემთხვევაში, თუ შეიძლება მისი წარმოდგენა როგორც

კოლაბორატორი და ძირითადი პერსონალი ერთდროულად და შესაბამისად მისი საგრანტო დაფინანსება?

**პასუხი:** კონკურსის წესების მიხედვით, აუცილებელია პროექტში ჩართული იყოს მინიმუმ ერთი უცხოელი კოლაბორატორი. პროექტის ძირითადი პერსონალი უნდა იყოს მაგისტრანტი, დოქტორანტი, რეზიდენტი, მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე. თუ კოლაბორატორი აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ ორივე პირობას, მაშინ შესაძლებელია, თუმცა აღნიშნული საკითხი ექსერტთა შეფასების საგანი გახდეს.

**12. კითხვა:** შეიძლება თუ არა დაგეგმილი მივლინების გადატანა ერთი პერიოდიდან მეორე პერიოდში? ასეთ შემთხვევაში პრობლემა იქმნება თუ არა როგორც პროგრამული ასევე ფინანსური თვალსაზრისით?

**პასუხი:** თუ მივლინება გემა გრაფიკში გაწერილია როგორც აქტივობა, მაშინ ის აუცილებლად უნდა განხორციელდეს მითითებულ პერიოდში. ფინანსური თვალსაზრისით, ერთ პერიოდში აუთვისებელი თანხა ნაშთის სახით ავტომატურად გადმოდის შემდეგ პერიოდში და მისი ათვისება შესაძლებელი იქნება.

**13. კითხვა:** შესაძლებელია თუ არა ერთ პერიოდში აუთვისებელი თანხა გადატანილ ქნას შემდეგ პერიოდში და დახარჯულ იქნას სხვა დანიშნულებით, რომელიც გათვალისწინებულია პროექტში?

**პასუხი:** ფონდთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია.

**14. კითხვა:** პატენტის ხარჯების გათვალისწინება შესაძლებელია თუ არა?

**პასუხი:** შესაძლებელია-ძირითად აქტივების კატეგორიებში

**15. კითხვა:** დამხმარე პერსონალი შეიძლება თუ არა იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე?

**პასუხი:** შესაძლებელია

**16. კითხვა:** შესაძლებელი იქნება თუ არა ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებული პროექტის რედაქტირება (როგორც ჩატვირთული ფაილის შეცვლა ასევე ანკეტური მონაცემების რედაქტირება)?

**პასუხი:** შეიძლება

**17. კითხვა:** „მოამბე“ -ში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება თუ არა ციტირებად/რეფერირებად კონკურსის პირობების მიხედვით?

**პასუხი:** ჩაითვლება

**18. კითხვა:** შესაძლებელია თუ არა, რომ კოლაბორანტი იყოს ინგლისიდან?

**პასუხი:** შეიძლება